# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გაზეთი. — პარასკევი, 15 სექტემბერი 1900 წ. № 1239

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**



# სკოლა და პანსიონი

## ა. ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის, რეალურ, კომერციულ და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის. ყმაწვილების მიღება—30 აგვისტოდგან.

**ადრესი:** ოლგინის ქუჩა (Ольгинская ул.), სახლი დრობიშევისა, ზემმლის აფთექის მახლობლად. (10—6)

შესახებ ყოველივე საქმეებისა—ნაწარმოებთა ანუ ბუნებითი სიმდიდრისა **ქართველთა მემამულეთა**, მიჰმართავენ მსურველნი დროებით ბიუროში **რაფიელ ისარლოვს**, ქართველ მემამულეთა წარმომადგენელს პარიზის გამოფენაში.—ადრესი: **RAPHAEL ISARLOFF.**

(ნ. 16—12) **Paris, rue des Ecoles, 40.**


# ახალი ამბავი

✦ „ნოვ. ობოზრ.“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ „პრავიტ. ვესტნიკში“ დაბეჭდილია შემდეგი **მთავრობის განკარგულებანი:** 1) შორაპნის მაზრის უფროსად დაინიშნა პოდპოლკოვნიკი სუშჩინსკი; 2) ტფილისის საკომერციო ბანკისა და ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოების წესდებებში მოხდენილია ზოგიერთი ცვლილებები.

✦ იმავე გაზეთს პეტერბურგიდანვე სწერენ, რომ სამთო დეპარტამენტის დირექტორი იოსსა გამოიგზავნა კავკასიაში **სამინერალო წყლების და ნავთის წყაროების** დასათვალიერებლად.

✦ **საბურთალოს** (ვერაზე) ახალშენის მცხოვრებთ თხოვნა მიუციათ საგუბერნიო მმართველობისათვის, რომ ეს ადგილი შეერთებულ იქმნას ქალაქთანა.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზების მიმოსვლის განყოფილების უფროსი **გერხოვსკი** 12 სექტემბრიდან შეუდგა თავის სამსახურის აღსრულებას.

✦ როგორც გადმოგვცეს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა თეატრის რემონტი უთუოდ დასრულდება ამ თვის ბოლოს. თეატრს ახალი შესავალი იქმნება და თვით დარბაზიც გამშვენიერებული იქმნება. ქართული წარმოდგენების სეზონი დაიწყება ოქტომბრის პირველ რიცხვებში. იმ დროიდანვე დაიწყებს წარმოდგენებს მალოროსთა დასი, ხოლო ნოემბრიდან საოპერეტო დასი.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**13 სექტემბერი**

**შანხაი.** აქაური ჩინელი მოხელენი ამბობენ, რომ პრინცმა ტუანმა მიჰმართა დედოფლის სახელით უმთავრეს მოხელეთ საიდუმლო ბრძანებით, რომელშიაც იტყობინება, რომ საიმპერატორო სახლობამ გადასწყვიტა განაგრძოს ომი უცხო სახელმწიფოებთანაო. ყოველს მოხელეს, რომელიც დახმარებას არ აღმოუჩენს მანჯურთ, ბრძანება, როგორც მოღალატეს, უქადის სიკვდილით დასჯას, მთელის ოჯახის ამოწყვეტასა და წინაპართა საფლავის განადგურებას.

**ლორენცო-მარკეზი.** გენერლები პოლკერიუ და გამილტონი სდგანან კომატიპორტში 3000 ჯარის-კაცით. იქ დღეს მივა აგრეთვე კიტჩენერი პრეტორიიდან. ხვალ მოელიან რკინის მუშაობის დაწყებას ლორენცო-მარკეზსა და იოჰანესბურგის შუა.

**ჰონკონგი.** დასავლეთ მდინარიდან მოსული ცნობები ამბობენ, ნიშნები არისო, რომ იქ კვლავ ძლიერდება ავაზაკობაო. ამბები მოვიდა რამდენიმე გაძარცვის შესახებ. კუნჩუკის ახლო სოფელი ავაზაკთ გადაუწვიათ.

**პრეტორია.** პოლკოვნიკ ლაილის ძლიერი ცხენოსანი რაზმი წავიდა აქედან დევეტის შესაპყრობად.

**პეკინი.** ჩინეთის იმპერატორის სახლობა ჯერ ისევ შანსის პროვინციის ჩრდილოეთ საზღვარზეა, სადაც იმის მოლოდინშია, თუ რა მიმართულებას მიიღებს მშვიდობიანობის შესახებ მოლაპარაკება. სახელმწიფოებმა მიიღეს წარმომადგენლებათ ნანკინისა და ვუჩუანის მმართველები, ხოლო იუნლუს დანიშვნა, რომლის ჯარები საელჩოების წინააღმდეგ მოქმედებდნენ არ შეიწყნარეს.

**ლონდონი.** რობერტსი იტყობინება პრეტორიიდან, რომ გამილტონს კროკოდილრივერში ხელში ჩაუვარდა ცამეტი ზარბაზანი, რომელთა უმეტესი ნაწილი ბურებისაგან გაფუჭებულია, მათ შორის არის ის ზარბაზნებიც, რომლებიც ბურებმა ინგლისელებს წაართვეს, იქვე იპოვეს ბევრი დამტვრეული ფურგონები.

**ლორენცო-მარკეზი.** გერმანიის გემი ჰერცოგი წავიდა აქედან მგზავრებით სავსე. გემზე იმყოფებიან ჰოლანდიელები, გერმანელები და ბურები; უკანასკნელთა შორის არიან ტრანსვალის გენერალ—ფოჩტმეისტერი ალიფენი, გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწე გობლერი და რესპუბლიკის ხაზინადარი მალერში. გემით მიაქვთ აგრეთვე დიდ-ძალი ოქროს ზოდები. კრიუგერი ჯერ ისევ გუბერნატორის სახლში სცხოვრობს,

**14 სექტემბერი**

**პეტერბურგი.** 9 სექტემბერს ღამით პოლკოვნიკ ფლუგის მოწინავე რაზმმა დაიჭირა ლუტაის სამხრეთით მდებარე მტრის ავანპოსტები, მოულოდნელის იერიშით აიღო ქალაქი, რომელშიც ისევ შიგ იყო მტრის ბოლო ჯარის 4000 კაცამდე.

რაზმის უფროსი გენ. ცერპიცკი, რომელიც ექვსი როტით მისდევდა ბეიტანიდან მომავალ კავალერიას უკან, მიუახლოვდა თუ არა ქალაქს მას დაუშინეს ზარბაზნები სიმაგრებიდან, მაგრამ მან მარჯვე იერიში მიიტანა დაიჭირა ყველა სიმაგრეები და ხელთ იგდო მთელი არტილერია. ჩინელებმა ბლომად ჯარი დაჰკარგეს. ჩვენ ჯარს მწყობრიდან არც ერთი არ დაჰკარგვია. ბეტან-ლუტაის რკინის-გზის შტო დანგრეულია.

**ვაშინგტონი.** დიპლომატიურ წრეებში ირწმუნებიან, რომ, როგორც ოფიციალური ცნობებიდან სჩანს, პრინცი ტუანი დანიშნულია საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარედ და არა უმაღლეს საბჭოს წევრად. ოფიციალურ წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ სასურველია ამერიკის ჯარი გადაყვანილ იქმნას სხვა პოზიციაზე ვალდერზეს მოსვლამდეო. ჰფიქრობენ, რომ გერმანიას და სხვა სახელმწიფოების უარს სამშვიდობო მოლაპარაკებაზე შეუძლიან ომი გამოიწვიოს. ამერიკის ჯარების ჩინეთიდან წაყვანის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ამერიკას არა ჰსურს ომში ჩაერიოსო, მით უმეტეს რომ, როგორც მთავრობა ჰფიქრობს, ამერიკას არავითარი საფუძველი არა აქვს ჩინეთთან ომის დასაწყებად. თუ რომ რომელიმე მეომარი სახელმწიფო დაიჭერს პეკინს, ამერიკის სამხედრო ყარაული ყოველ შემთხვევაში იცავს ამერიკის საელჩოს.

**პეტერბურგის ბირჟა 12 სექტემბ.**

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მ ი | ნ ი | თ ი |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | 96¼ |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | 99½ | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 97¼ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 328½ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 280 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 5°/₀ გირავნ. მოძგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 216 |
| 3½°/₀ გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | 88¼ | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5°/₀ გირავნ. ფურცლ.. | — | — | 94⅜ |
| 4½°/₀ გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | 86 | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6°/₀ გირ. ფურცლ. . . . | — | 101½ | — |
| 5°/₀ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | 98½ | — |
| 5½°/₀ ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . . | — | — | 95½ |
| 4½°/₀ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა . . . . | — | 87 | — |

დრ. რედ. ალ. ჯაბადარი

# გამოსადეგი ცნობანი

## ნიხრი

ხორცი ძროხისა . 1 გ. 8½ კ.
სუკი . . . . . . » — 15 კ.
» ცხვრისა . . . » — 8½ კ.
» ღორისა . . . 1 — 8 კ.
» კამეჩისა » » » — 5 კ.
» ღორის ბარკალი სალორჟეთი . 1 » — 10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს აის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | 3½ | » |
| » » | III | » | » | 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | 3½ | » |
| ლავაში კვ. მამ. | I | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |

### ტფილისის ბაზრები:

| გაიყიდა მეიდნებზე: | | | კოგზალზე: | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ. |
| 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | კაპ. |
| ქერი . . . . . . . | 1 | —მ. | —70 | კ. |
| სიმინდი . . . . | 1 | — | —65 | — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | —20 | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 15 | 10— |
| კომბოსტო. . . . . | 1 | — | 30 | —— |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 65 | —— |
| ხახვი . . . . . . | 1 | — | 10 | —— |
| თივა . . . . . . | 1 | — | 25 | —— |
| ბზე. . . . . . | 1 | — | 23 | —— |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნაძვი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 80 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 5 მ. კაზიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი 40 მ., კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.,

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში:

| ხარისხ. | | | ხარისხ. | | |
|---|---|---|---|---|---|
| № 0—9 მ. | — | კ. | № 4—6 მ | 75 | კ. |
| № 1—8 » | 25 | » | № 5—6 » | 50 | » |
| № 2—7 » | 75 | » | № 6—6 » | — | » |
| № 3—7 » | 25 | » | № 7—5 » | 75 | » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54—41 კ. ქერი როსტოვში 50 კ. 57 კ.-მდე, ნოვოროსსიაში 59 კ. 60 კაპეიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 6 მან. 80 კ.
„ ფეშხვნილი „ 5 „ 30 »

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. გაუსუფ. 5 მ. 80 კ. 7 მ. 90 კ., მატყლი 10°/₀ შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 75 კ.—4 მ. — კ., გარეცხილი— მ. — კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო—მ. — კ.-მდე.

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** **ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, გოლოვინის ქუჩა, სახლი იელიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულითავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში დირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სნ[ეულება]თ ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიან[ი].

ქალაქის უ[ფა]სო ღამე თავ-შესაფარი სახლ[ებ]ი:

1) გოლოვინის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი [ა]ლიქაანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის
# გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1— | » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . . . . | « | —50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი . . . . . . . . | « | —10 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) . . | « | —20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | | |
| I ტომი . . . . . . . | « | —70 |
| იგივე II ტომი . . . . . . . | « | —60 |
| იგივე III ტომი . . . . . . . | « | —60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) . . . . . | « | —80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა . . . . . | « | —10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი . . . . . . | « | —60 |
| იგივე II ტომი . . . . . . | « | —60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი . . . | « | —60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა . . . . | « | —40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი . . | « | —20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა . . . . . . | « | —50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში . . . | « | —15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა . | 1 | —20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა . . | 1 | —50 |
| რძე მისივე . . . . . . . . . | 1 | —50 |
| სიბრძე ბალავარისა . . . . . . . . | « | —30 |
| ცეცხლითა და მახვილითა . . . . . . | « | —80 |
| დასტურ-ლამა . . . . . . . . . | « | —10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25°/₀ წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | | |
|---|---|---|
| ნაწილი I საერო კრება . . . . . . . . | 60 | კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე. . . . . . | 75 | „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი. . . . . | 60 | „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე . . . . . | 75 | „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | . 1 მ. 20 | „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე . . . . . | 1 მ. 50 | „ |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი . . . . . | 30 | „ |
| იგდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა . . . . | 30 | „ |

პირველი ნაწილი ცალკე ხდარ იყიდება

გამომც. ვ. გუნია.